გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 2
(11 561)

11 – 14 იანვარი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისის სპორტის სასახლე გივი კარტოზიას სახელობისაა!

თბილისის მთავრობის დადგენილებით თბილისის სპორტის სასახლეს ლეგენდარული ქართველი შეკრული გივი კარტოზიას სახელი მიენიჭა.

ქვეყნები, თასები

5



ნბა

5

შილაღელფია – ორლანდო

6



თამაზ წივწივაძე – 60

ძმაო თამაზ!

სიამაყის განცდით ვუყურებდი იმათ რიცხვს, ვინც საიუბილეო თარიღს გილოცავს და გელოცავს. როგორც ქვეყნის პატრიოტი, შენ ყრმობიდან ხარ თვალმიდევნებული ქართულ სპორტს და მუდამ ხარობ მისი წარმატებებით, გტკივა საერთო სტატკივარი. თვალი რომ გადავავლე შენს მიერ განვლილ ცხოვრებას, დაბეჯითებით შეგადარე იმ სპორტსმენს, რომელიც შეუპოვარი ბრძოლით, მიზანმიმართულად იკაფავს გზას ოლიმპისკენ. შენ უკვე დიდი ხანია დგეხარ მხოლოდ რჩეულთათვის მისაწვდომ სიმაღლეზე.

გავიგე, რომ უარი გითქვამს იუბილის აღნიშვნაზა და ჯილდოზე, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცე, რომ ყველაზე დიდი ჯილდო შენთვის მუდამ არის ქვეყნისა და ერის მსახურებაში მოხვეჭილი საყოველთაო სიყვარული.

აი, კიდევ რა მინდა გითხრა. შენ კარგად იცი, რომ ჩვენში ოდიდგან ვეუკაცობის სიმბოლოდ ითვლებოდა ლელოს გატანა. შენებური სპორტული ენით კვლავაც გაგეტანოს მრავალი ლელო!

ძმური სიყვარულით,

თენგიზ ბარბარესაძე

საგზურებისთვის ლაშქრობა დაიწყო

ხელბურთში ევროპის მსოფლიო ჩემპიონატს გაიხსად, იანვარ-თებერვალში, პორტუგალია უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს 24 რჩეული გუნდი. აქედან 13 ადგილი ევროპას ეკუთვნის. პორტუგალიაში ასპარეზობის უფლება გარანტირებული აქვს მსოფლიო ჩემპიონს – საფრანგეთს ნაკრებს და მასპინძელ ქვეყანას. წლეულს, თებერვალში, ჩატარდება

2002 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობა შეეჯიბრება. აქ გამარჯვებული და ორი პრიზიორი შეკანიკურად დაიშვებიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამრიგად, ევროპისთვის განკუთვნილი (13-2-3– 8) ადგილებიდან გასათამაშებელი რჩება რვა საგზური, რომლისთვისაც ჩვენი კონტინენტის გუნდები უკვე ჩაებნენ ბრძოლაში.

ვინ არიან ეს გუნდები? ევროპის ფედერაციამ რეიტინგის შესაბამისად 18 ქვეყნის გუნდი დაუშვა საკვალიფიკაციო ჯგუფებში (3 ოთხგუნდიანი და 2 სამგუნდიანი) საასპარეზოდ. სულ შეიქმნა ხუთი ჯგუფი. საქართველოს ნაკრები მესამე ჯგუფში გამოვა ფინეთის, ჰოლანდიის და ავსტრიის გუნდებთან ერთად. ხუთივე ჯგუფში გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატიდან საგზურგანაღდებულთა გამოკლებით, ამ ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სხვა მონაწილეებთან ერთად გაითამაშებენ პლეი-ოფს (1-8 ივნისი) 8 საგზურის განსაწილებლად.

საქართველოს ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი ზაზა დოლიძე) პელისნგში გუშინწინ, 9 იანვარს, ჯგუფში პირველი შეხვედრა ჩაატარა. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა 23:20.

დანარჩენი მატჩების კალენდარი ასეთია:

13.01. საქართველო – ფინეთი;
17.01. საქართველო – ჰოლანდია;
21.01. ჰოლანდია – საქართველო (ამსტერდამი);
24.01 ავსტრია – საქართველო (ქ. ტრაუნი);
27.01 საქართველო – ავსტრია.

ჩვენი ნაკრები შინ მატჩებს გამართავს თბილისის სპორტის სასახლეში. შეხვედრები დაიწყება 17 საათზე.

ავთანდილ ღოღობერიძე – 80

5

ციტატა

სოლტ-ლეიკ-სიტში ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი პასუხობს:

„ფაქტობრივად, ნაგანოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩვენ, როგორც ასეთი, 2002 წლის თამაშებისთვის მოსამზადებელი ციკლი არც გვქონია და, შეიძლება ითქვას, სპორტსმენები ბეედს ანაბრად იყვნენ. ისევ ბატონი გოგის ძალისხმევით მოხერხდა ჩვენი მოთხილამურეების რამდენიმე საზღვარგარეთული შეკრება. ამიტომაც ბადლობის მეტი რა გვეთქმის იმ სპორტსმენებისა და მწვრთნელების მიმართ, ფაქტობრივად, დაფინანსების გარეშე ლღეენისები რომ მოიპოვეს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: რომ არა ბატონი გოგი თოფაძის გამორჩეული დამოკიდებულება სპორტისადმი, დღეს შეიძლება მოთხილამურე საერთოდ არ გვყოლოდა“.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 318. კვირა. 30 დეკემბერი. 2001 წელი.

მილოცვები

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 30 წლისთავს ულოცავს ბატუტზე ხტომაში მსოფლიო ჩემპიონს, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონს ზაქარია აბრამიშვილს.

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 40 წლისთავს ულოცავს ვეტერან ხელბურთელს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ოლიმპიური ზაბდების შტაბის ხელმძღვანელს მიქა მეტრეველს.

* * *

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანალარისამდი დრმა პატივისცემით უერთდება ამ მილოცვას.

თბილისის ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა კიდევ ერთი სენსაცია მოახდინა – რუსეთის პირველობის ნახევარფინალში გავიდა!

მიხეილ მესხი – 65

4

გუშინ, თბილისის საზოგადოებრიობა გივი ყიასაშვილს გამოეთხოვა

6

ვლადიმერ გუცაევს მანქანა წაართვეს

ამაზარებელია, როდესაც ორგელიც განკითხაობა სუფევს, როდესაც მოძალადეებს ვერაფერს უპირისპირებ, და გაბრაზებულ გულზე მჯიღის ცემისა და ყვირილის უფლება გრჩება მხოლოდ. შინ თუ გარეთ დაუცველობის, სირცხვილის კიდევ ერთი განცდა ვიწვნიეთ. ახლა, ამ დღეებში, ვლადიმერ გუცაევი ძვირადღირებული „მერსედესიდან“ გადმოსვეს შეიარაღებულმა ყაჩაღებმა და მანქანიანად გაუჩინარებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ წალიანის
მოულოდნელი გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ქართული კრივის სამყაროს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს ოთარ რუხაძეს მამის ლამრენტი რუხაძის
გარდაცვალების გამო.

ჯორდანის ახალი ცოლვება



2



ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲛᲓᲔ 2 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲓᲐ 7 ᲗᲕᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ XIX ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ 28 ᲓᲦᲔ ᲒᲐᲔᲨᲕᲠᲔᲑᲐ

8–24 ᲗᲔᲕᲗᲠᲕᲐᲚᲘ 2002 Წ.

ᲛᲝᲘᲘᲒᲐᲓᲔᲗ ᲥᲣᲓᲘ ᲐᲛ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ!

თბილისელმა ჭაბუკმა წყალბურთელებმა, რომლებსაც ქართული წყალბურთის ხვალინდელ დღეც მიიწევენენ, კიდევ ერთი წარმატებით განაცვიფრეს სპეციალისტები და გულშემატკივრები. სანქტ-პეტერბურგის სკ „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში ოსტატდებიან, შარშან, წლის ბოლოს ვოლგოგრადში იასპარეზის რუსეთის 2002 წლის დიდ პირველობის პირველ ტურში. ტურნირი გაიმართა 1984-85 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის, ჩვენები კი, გარდა სამისა, მეტოქეებზე 2-3 წლით უმცროსები იყვნენ. მით უფრო გასაოცარი და გასახარი იყო ის წარმატება, რასაც თბილისელმა ყმაწვილებმა მიაღწიეს ვეებერთელა ქვეყნის რჩეულ თანატოლებთან პაექრობაში. თბილისელ ჭაბუკთა ნაკრებმა ყველა შეხვედრა მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. შთამბეჭდავია შეჯეგებიც: სანკტ-პეტერბურგის ნაკრებთან 7:6 (პირველ მატჩში ჩვენები მგზავრობით გადაქანცულები ჩავბნენ), ასტრახანის ოლქის გუნდთან – 9:4, ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ – 6:1, მოსკოვის „ზრომით რეზერვებთან“ – 13:5, ტუაფსელებთან – 12:3, ჩელიაბინსკელებთან – 8:3 და ყაზანელებთან – 9:1. ბურთების საერთო შეფარდება 64:23 თბილისელთა სასარგებლოდ.

თბილისელთა გარდა, ნახევარფინალში გავიდნენ მოსკოვის, ვოლგოგრადისა და ჩელიაბინსკის გუნდები. მატჩები 29 იანვარს გაიმართება. თავიდან დაგეგმილი იყო, რომ ნახევარფინალი ჩატარდებოდა სანქტ-პეტერბურგში, მაგრამ ამ ქალაქის გუნდს რაკი ხელი მოეცარა, განაწყენებულებს უარი უთქვამთ მასპინძლობაზე.

ბიჭები რომ გადაქანცულები ჩავიდნენ ვოლგოგრადში, უკვე ვთქვით. გუნდი თბილისიდან საკუთარი ავტომანქანებით შეხვდნენ ჩაიფიანეს ვლადიკავკაზში, შემდეგ სამარშრუტო ტაქსით იმგზავრეს მინერალურ წყლებამდე. იქიდან მატარებლით შეკლიბეთის ადგილამდე. სხვათა შორის, იგივე მარშრუტით დაბრუნდენ უკან, მაგრამ უკვე გამარჯვებით გამოწვეული ამაღლებული განწყობით.

„ბიჭები შეხვდნენ ვლადიკავკაზში იქაურმა ქართველებმა ავთანდილ ჩალაძის თავკაცობით დიდი პატივი გვცეს. მინერალურ წყლებამდე ავტობუსიც გვიქირავეს, ღამეც გაგვათევინეს თავიანთ ხარჯზე. პატივისცემა და თანადგომა არც ვოლგოგრადში მყოფი ქართველებისგან მოგვკლებია. ისინი თავგამოვდით გვქომაგობდნენ მატჩების დროსაც. მადლობა მინდა ვუთხრა აგრეთვე „ლაგუნა-ვერეს“ და ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობას (ვლადიმერ გოცაშვილი, გ. ცქიტიშვილი) დახმარებისთვის. „იმედია, ნახევარფინალისთვის გუნდის დაფინანსების შესაძლებლობა გამოინახება“ – უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს სოსო მაისურაძემ.

2001 წლის საუკეთესო აჭარელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტსმენებმა არნახულ წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო და ევროპის პირველობებზე „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებული ოქრო — 5, ვერცხლის — 8 და ბრინჯაოს — 12 მედალი. 2001 წელს ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში (85 კგ წონით კატეგორიაში) მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა მუხრან ვახტანგაძემ, ახალგაზრდებში — რამაზ დევაძემ, ევროპის პირველობაზე კადეტთა შორის კი პირველობა მოიპოვა ომარ ბაკურაძემ. ჭიდაურში 14 წლამდე გოგონათა შორის სალომე მელია მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

2001 წ ს აჭარაში სხვადასხვა მასშტაბის 13 ტურნირები გაიმართა: მათ შორის ქალაქში აზია — ცენტრალ. საკონტინენტთაშორისო მატჩი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფესტივალი და მემედ აბაშიძის საერთაშორისო მემორიალი, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში ქალთა შორის.

საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ბასკოს“ კახ კალაბურთოლთა და ბალახის პოკერში ქალთა გუნდებმა. ხოლო ვაკეში ამ სახეობაში თასის მფლობელი გახდნენ. ქვეყნის თასი მოიპოვა მორაგბეთა კოლექტივმაც („დათვები“).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2001 წლის შეჯეგების მიხედვით დაასახელა აჭარის ათი საუკეთესო სპორტმენი, ამდენივე მწვრთნელი, საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენი. სამი საუკეთესო გუნდი სპორტულ თამაშებში და სპორტკომიტეტი. აგრეთვე საუკეთესო სპორტული ფედერაციები.

საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენები

1. ანზორ ლაზოშვილი — თქიდაობა.
2. ნოდარ ხაჭიშვილი — კარატე დო
3. თემურ ხაბაძე — თქიდაობა.

საუკეთესო სპორტული ორგანიზაციები: ბათუმის სპორტკომიტეტი (თამაზ ლომარე თენგიზ თავდგირიძე), ხელუაჩაურის რაიონის სპორტკომიტეტი (სიმონ ზაქარაძე), ხულოს რაიონის სპორტკომიტეტი (ნოშრევან ჯოხაძე).

საუკეთესო ფედერაციები: ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი აბაშიძე), ჭადრაკის ფედერაცია (შოთა ჭუმკეიძე), რაგბის კავშირი (ილია წულუკიძე).

წლის საუკეთესო სპორტულ შეკრებად დასახელდა აჭარის ტელევიზიის და რადიოს სპორტული გადაცემათა რედაქტორი *გოლრიგი მურღანიძე*.

სპორტის რჩეულ მხარდამჭერად აღიარებულია ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, აჭარის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი *რეზო ჯაბანიძე*.

რჩეულებს გადაეცათ დიპლომები და ბათუმის მერიის ფასიანი სჩუქრები.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲣᲠᲦᲐᲜᲘᲫᲔ,
„ლელოს“ სპ. კორ. აჭარაში.

რობერტ გაგოიანის ფოტო

აჭარის სპორტსმენთა ათეული ასე გამოიცხრილა:

1. მუხრან ვახტანგაძე — ბრ. ჭიდაობა
2. რამაზ დევაძე — ბრ. ჭიდაობა
3. სალომე მელია — ჭადრაკი
4. ომარ ბაკურაძე — ბრ. ჭიდაობა
5. ვახტანგ ყურხულიძე — მხ. ტანგ
6. ბათუმი ფუტკარაძე — მშვილდოს.
7. ოთარ ფუტკარაძე — ბრ. ჭიდაობა
8. ვლადიმერ ბეჭინაშვილი — ქალაბ.
9. ირაკლი ჭელიძე — ფარიკაობა
10. დავით ბეჭინაძე — ბრ. ჭიდაობა

ათი საუკეთესო მწვრთნელი:

1. თაზო ჩხეიძაშვილი — ბრ. ჭიდაობა
2. ზაზა ჯიბლაძე — ბრ. ჭიდაობა
3. ლეონიდე ნეურონიდი — ჭადრაკი
4. ნუგზარ ჯგერელაძე — რაგბი
5. რომან ჭელიაშვილი — თქიდაობა
6. ანდრან ბალაძე — ფეხბურთი
7. თამაზ ფუტკარაძე — მშვილდოს.
8. ნიკოლოზ ბარამიძე — ბალ. ჰოკეი
9. ნუგზარ კანდელაკი — კალათბ.
10. ბაკატა ხუროთელი — ფარიკაობა

სამი საუკეთესო გუნდი

1. „ბათუმი“ (ბათუმი) — რაგბი
2. „ბასკო“ (ბათუმი) — კალათბურთი
3. აჭარის ქალთა ნაკრ. o — ბალახის ჰოკეი

ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ 2001 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

საქართველოს ბილიარდის ფედერაციის (პრეზიდენტი დავით ალექსიძე) თაოსნობით, თბილისის ერთ-ერთმა პოპულარულმა სბილიარდო კლუბმა „ვერემ“ ახალი წლის წინ საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა ე წ. ამერიკანაკაში ჩემპიონატში დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ასპარეზობაში ფიდანაც ორმოცამდე მონაწილეობენ ბათუმის, ოზურგეთის, გურჯაანისა და მანგლისის, ასევე რჩეული წარმომადგენლები — სულ 32 მობილიარდე.

შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა ჰაატა ხმალაძემ, რომელმაც ფინალში 5:1 სძლია თანაკლასელ არტურ პოლისიანს. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ასევე თბილისელმა თემურ დონაძემ იმარჯვა ბათუმელ დავით ფიფიასთან პაექრობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: გამარჯვებული (შარჯინე) და პრიზიორები

გოლრიგი სამხარაძე

ᲛᲔᲓᲠᲔᲑᲛᲐ „ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲗᲐᲡᲘ“ ᲒᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ

აღლაბო სიმბოლურია, რომ საქართველოში 2002 წლის სპორტული სეზონი ცხენოსანთა ასპარეზობით გაიხსნა. სიმბოლურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ წელუკს ცხენის წელიწადია, არამედ იმიტომაც, რომ ცხენოსნობის ტრადიციები ჩვენში საუკუნეებს ითვლის. დღეს ისეთი დროა, ბევრი რამ კეთილი ინიციატივაზე და შეძლებაზეა დამოკიდებული.



ცხენოსნობას და მხედრებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მას შემდეგ გაუმართლათ, რაც შემწედ მოევლინათ სპორტის ამ სახეობაზე უზომოდ შეყვარებული კაცი თემურ ბერიშვილი. ამჯერად მისი თაოსნობით და ხარჯებით ჩატარდა თბილისის ავიაორთშის ცხენოსანთა ასპარეზობა – „საშობაო თასის“ გათამაშება. შეჯიბრება ნამდვილად გამოდგა ბრწყინვალე დღესასწაულის საკადრისი. დაბრკოლებათა გადალახვაში ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესმა მხედრმა წარმოაჩინა თავისი ოსტატობა იპოდრომის დახურულ მანეჟში.

ძალიან მძიმე ხტომებში უფრთხილა ასკეთ ცხენებისთვის უძლიერესი იყო „ჟოკეი კლუბის“ წარმომადგენელი გიორგი სამხარაძე (ცხენი ჰაკი), მეორე ადგილზე გავიდა შინაგანი ჯარის ოფიცერი კახაბერ კიკიანი (შილი), მესამე იყო ირაკლი ბულისკირია („ჟოკეი კლუბი“, ცხენი საგმირო). ახალგაზრდა ცხენოსნის (კონკური №1) მოსაპარეზოთა შორის ყველას აჯობა ირაკლი ნარმანიამ (შავს „ქართული ცხენი“, ბრაუნი), მეორე და მესამე პრიზიორი გახდა გიორგი ჩიქოვანი „ჟოკეი კლუბიდან“ – ჯერ ცხენ კაკვაწით, შემდეგ – გარსიათი. ***უფროსი ასაკის ცხენებით*** ასპარეზობის მეორე დღეს ადგილებს განაწილდა ასე: 1. გიორგი სამხარაძე, 2. კახაბერ კიკიანი, 3. ირაკლი ნარმანია. ***ახალგაზრდა ცხენებით*** (კონკური №2): 1. გიორგი ჩიქოვანი, 2. ირაკლი ნარმანია, 3. ლევან ფანცულაია (შინაგანი ჯარი, ცხენი აგლონა).

ყველაზე ახალგაზრდა მხედრისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა 12 წლის თამაზ გელაშვილს („ჟოკეი კლუბი“), ყველაზე ტექნიკურად მოასპარეზის – ოლეგ რეუტოვს – (კერძო სექტორი).

Ც. ᲑᲐᲠᲐᲫᲔ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲓᲐᲜ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲑᲐᲡᲣᲒᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲒᲡ ᲦᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲡ

ბავშვთა სპორტი რომ ქვეყნის სპორტული ტრადიციების გაგრძელების საიმედო დასაყრდენია, რუსეთში კარგად იციან და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდას და მათ სპორტულ დაოსტატებას სახელმწიფოებრივ ზრუნვას არ აკლებენ (ჩვენნაც განსხვავებით). ასეთი ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იქნება მოსკოვის მოზარდ სპორტსმენთათვის ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში გამართული გრანდიოზული სშობაო ზეიმი, რომელიც 15 იანვრისთვის იგეგმება.

საზეიმო შეხვედრაზე დაჯილდოებენ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულ და სპრიზიო ადგილებზე გასულ ნორჩ სპორტსმენებს. მარტო 2001 წელს რუსეთის ჩემპიონი გახდა 130 მოზარდი, 13 — ევროპის ჩემპიონი გახდა, 10 — მსოფლიოი ჩემპიონატის პრიზიორი. ყოველწლიურად მოსკოვში ტარდება ათასზე მეტი სპორტული ღონისძიება სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის. 2002 წელს მათ ელოდებათ მოზარდთა ხაერთაშორისო სპორტული თამაშები დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ ასპარეზობას მოსკოვი უმასპინძლებს.

„ᲘᲒᲘᲠᲐᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲠᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲐ

ველორბოლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა რუსეთელმა ეიაჩესლავ ეკიმოვმა განაცხადა, რომ წელუკს აღარ დაუბრუნდება ველოსპორტს, რადგან დაიკავა სპორტული დირექტორის თანამდებობა გუნდ „იტერაში“. მისი დანიშვნა ამ პოსტზე მოტივირებულია იმითაც, რომ „იტერა“ მიზნად ისახავს გახდეს პირველი დივიზიონის გუნდი.

4 თებერვალს ეკიმოვს 36 წელი შეუსრულდება. პროფესიული მრბოლი იგი 1991 წელს გახდა და კარიერის მანძილზე 52-ჯერ იზეიმა გამარჯვება. ეკიმოვს „საკუნის რუს ველოსპორტსმენს“ უწოდებენ.

„30 000“

ლეგენდარულმა კალათბურთელმა ბიკლ ჯორდანმა თავის კარიერაში 30 000 ქულა მოაგროვა და გახდა მეოთხე კალათბურთელი, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. მანამდე ეს შეძლეს: კარიმ აბდულ-ჯაბარმა, უილტონ ჩემბერლენმა და კარლ მელონუმა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ლეგენდარული კალათბურთელი თავდასხმელი იყო, ხოლო ჯორდანი პირველი მცველია, რომელმაც დასძლია 30 000-იანი ზღვარი.

სეზონისთვის მზადება დაიწყო

საფეხბურთო სეზონის განახლებამდე ორი თვე დარჩა. და სუსხიანი ზამთრის მიუხედავად კლუბების უმრავლესობა სამზადისს შეუდგა.

ორგზის ჩემპიონმა *„ქუთაისის „ტორპედომ“* ბენდელას თასის გათამაშებიდან და სპორტის სასახლის ხელოვნური საფარიდან რუსეთში გადაინაცვლა. გუნდი მოსკოვშია და „თანამგრძობრობის“ ჩემპიონთა თასის გათამაშებისთვის ემზადება. რევაზ ძოძუაშვილმა შეარჩია ის ფეხბურთელები, ვინც ტურნირში კლუბის ღირსებას დაიცავენ: *მეკარეები:* დავით გვარამაძე, ზვიად სტურუა;

მცველები: ვლადიმერ ძაგნიძე, ვახტანგ აკოფაძი, რევაზ ქემოყლიძე, გივი დიდავა, სევასტი თოღუა, ლევან სილაგაძე, ლაშა ქველიძე, დავით გამეზარდაშვილი; ვალერი აბრამიძე, ვახტანგ ხვადაგიანი;

ნახევარმცველები: მალხაზ ასათიანი, შოთა ბაბუნაშვილი, ზურაბ ძამსაშვილი, ბორის გონჩაროვი;

თავდამსხმელები: რომან ახალაცი, ზურაბ იონანიძე, ზვიად ქუთათელაძე, თემურაზ მალანია, დიმიტრი პარამონოვი, პაატა გვირჩიშვილი, ანტონ პოროშინი; გუნდის ორი წამყვანი ფეხბურთელი მიხეილ მახვილაძე და გია იმედაძე ალბათ ულაიავაზის „ალანიაში“ გაგრძელებენ კარიერას. შესაძლებელია ტურნირის მსვლელობისას, რომელიც 19 იანვარს დაიწყება, ტოროპედოსთა რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერიც შედგეს. ქუთათურების მეტოქენი „ბ“ ჯგუფში რიგის „სკონტო“, ჯახეთის „ცენესი“ და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები იქნება.

15 იანვარს შეიკრიბება *თბილისის „დინამო“* და კვიპროსში გაემგზავრება. გადაწყვეტილია, გუნდი ალეკო გოგობერიშვილით და ირაკლი სამხარაძით გაძლიერდება. კლუბის სხვა ტრანსფერებზე დინამოელთა კვიპროსიდან დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ. ჩემპიონატისთვის მზადების კიდევ ერთ ეტაპს გიო ნოდია გერმანიაში გეგმავს.

ორიოდე დღის წინ გერმანიიდან დაბრუნდა *თბილისის „ლოკომოტივის“* მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე და გუნდს სავარჯიშოდ იპოდრომზე გაუძღვა. გერმანიაში მისი ვიზიტის მთავარი შედეგი კი ლაშა სალუქვაძის ფრანკფურტის „ინტრახტში“ დარჩენაა. ქართველი მცველი გერმანიაში გაგრძელებს კარიერას.

ბოლნისური სიახლენი

„ხიონი“ სეზონისთვის მზადებას 15 იანვარს შეუდგება. თემურ მაბარაძის შეგირდები პირველ საწვრთნელ შეკრებას თბილისში გაიელიან, შერე ვარჯიშებს ბოლნისში გააგრძელებენ, მზადების ქობულეთში დასრულებენ. შეიცვალა შემადგენლობაც. გუნდიდან წავიდნენ — კახა დაუშვილი (გადავიდა ფოთის „კოლხეთში“) და ბახვა ამბაძე (გადავიდა კვიპაროსის, ლიმასოლის „ატლეტიკში“). მოვიდნენ: ლაშა მონასელიძე, „ლოკომოტივიდან“ — ისიდორე გოლაური, „შეტალურგიდან“ — ბესო ამაშუკელი.

* * *

კლუბებისა არ იყოს, იანვარი საკმაოდ გადატვირთულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნებისთვისაც. რამდენიმე დღეში სფეს დელეგაცია მინსკში გაემგზავრება „იაბის“ შეკრებაზე, სადაც ერიხ ეპლეს და უეფას პრეზიდენტ ლენარტ იოჰანსონს შეხვდება. 25 იანვარს პორტუგალიის 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჯგუფისყრაა, გაირკვევა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მეტოქეთა ვინაობა, დადგინდება საერთაშორისო მატჩების კალენდარი და, ჩვენ, ფეხბურთის სპეციალისტებს და გულშემატკივრებს საზარუავი და საფიქრალი მოგვემატება. წელსვინდელ საფეხბურთო სეზონში, სანაცრებო დონეზე, მხოლოდ ერთი რამაა, დანამდელებით გარკვეული — ეროვნული გუნდი 16 აპრილს კიევში უკრაინის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგურად გაეკიბრება. კვნესისრის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმება ნაკრებების კალენდარიც.

* * *

ახალი სეზონისათვის მზადებას შეუდგა მსაჯთა კორპუსიც. წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით მსაჯებს, 10 იანვრიდან, საწყის ეტაპზე, ფიზიკური ვარჯიშების მთელი კომპლექსი ჩაუტარდებათ. მასში ჩაერთვებიან, როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების არბიტრები და ასისტენტები. სავარჯიშო შეკრების მეორე ეტაპზე ტრადიციულად მსაჯთა ხსოვნის მინიფეხბურთოს თებერვლის ტურნირი ჩატარდება. მასში ასევე ტრადიციულად მონაწილეობას მიიღებენ თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, ვეტერანი ფეხბურთელები და მსაჯები, ჟურნალისტები და სფფ-ს გუნდები. ტურნირი 4-დან 8 თებერვლამდე გასტანს და არმიელთა სპორტულ კომპლექსში ჩატარდება. სეზონის განახლებამდე დარჩენილი დრო საკონტროლო მატჩებს, სემინარებს და ტესტების ჩაბარებას დაეთმობა, მარტში კი ჩემპიონატიც განახლდება.

UEFA UNDER-17 Championship

კვინჩისყრის მოლოდინში

დღეიდან, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მზადების მეორე შეკრებას დაიწყებს საქართველოს 17 წლამდელთა ჯაბუკთა ნაკრები. კობა ჯორჯიაშვილის შეგირდებისთვის სავარჯიშოდ გამოყოფილია „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის მინდორი, დარბაზი. გამოიხატა მოსამზადებელი ეტაპის კონტურებიც — თებერვალში თბილისში დაგეგმილია ტურნირი და უცხოეთში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა. ჯაბუკებთან სპარინგის სურვილი გამოთქვეს სომეხმა და აზერბაიჯანელმა თანატოლებმა. აპრილში ნავარაუდევია გუნდის გაგზავნა უკრაინაში ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებთან ერთად. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე შესაძლებელია ნაკრებმა ერთკვირიანი შეკრება გრემანიაში გაიაროს.

შეგახსენებთ, რომ 17 წლამდელთა ნაკრები 27 აპრილიდან 10 მაისამდე მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც დანიაში ჩატარდება. 24 იანვარს მოეწყობა ფინალური ეტაპის კენჭისყრა და ჩვენი გუნდის ქვეჯგუფსა და მეტოქეთა ვინაობას შევიტყობთ. ტურნირში მასპინძლებთან დანიისა და საქართველოს ნაკრებთან ერთად ისპარეზებენ:

ჩეხეთის, პოლანდიის, უნგრეთის, საფრანგეთის, უკრაინის, პოლონეთის, შვეიცარიის, ფინეთის და გერმანიის ჯაბუკთა გუნდები. ტურნირის დანარჩენი ხუთი მონაწილის ვინაობას მარტში გავიგებთ.

ბავშვთა ფეხბურთი

„ლელამ“ წინა ნომერში გაგაცანით მინიფეხბურთში ბავშვთა სამშობაო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები ასაკის მიხედვით. დღეს ჩვენს ფოტოგალერეაში წარმოგიდგენთ ამ ტურნირის კიდევ სამ პრიზიორს: კლუბი 1990-91 წლიანებში (ფოტო №1), აგრეთვე 1992-93 წლიანებში (ფოტო №2) – მესამე პრიზიორი „არაგველ“ (მწვრთნელები – პაატა კირთაძე და ზაზა ჩაჩავა) და მეორე პრიზიორი 1992-93 წლიანებში „თბილისი – 2000“ (ფოტო №3).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კოლეგიის

განცხადება

საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებს და მწვრთნელებს

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მზადაა უსასყიდლოდ ჩატაროს თქვენი კლუბის ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან მეცადინეობა-საუბრები ფიფას და უეფას მიერ სპეციალურად გამოგზავნილი ვიდეომასალის ჩვენებით. 1998 წლის მსოფლიო და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის თამაშებიდან, სადაც განხილულია ფიფა-სა და უეფას მიერ განხორციელებული ყველა სიახლე, რაც დაგეხმარებათ ეროვნული ჩემპიონატისა და საერთაშორისო მატჩებისათვის უკეთ მომზადებაში. კომიტეტი ასევე მზადაა მოავლინოს მსაჯები მნიშვნელოვან საკონტროლო თამაშებზე. გთხოვთ ა/წლის 25 იანვრამდე გვაცნობოთ თქვენთვის სასურველი თარიღი მეცადინეობის ჩატარებისათვის და წარმოგვედგინოთ საკონტროლო მატჩების განრიგი.

ფიფამ და სოკ-მა დააფასა

ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებისთვის ფიფამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთობლივი სპატარო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს საფეხბურთო საფარის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელთა შორის არიან: ულადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურციძავა, სერგო კოტრიკაძე, სერგო კუტუბიძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ჭემალ გაბისონია, ბესიკიონ და იღია მჭედლიშვილები, რეზო ჩილაძავა, დავით პეტრიაშვილი, გოგი მამალაძე, რევაზ შენგელია...

სპაბენტო „ბუშათე“

მიხეილ მესხი – 65

მიხეილ მესხი თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში მის პირველსავე მატჩში ვიხილეთ, როდესაც გუნდის უფროსობა მწვრთნელმა ანდრო ფორდანიამ იგი მატჩის მეორე ნახევარში ალიონში ჩიჩუას ნაცვლად გამოიყვანა მოედანზე. ეს იყო 1955 წლის 2 აგვისტოს თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა კალენდარულ მატჩში. მართალია, ახალბედამ გუნდის კაპიტან ავთანდილ ღოღობერიძესთან ერთად, რამდენიმე მახვილგონიერული კომბინაცია განახორციელა მოსკოველთა კარის დასაცავ შჭრად, მაგრამ მას ხომ ლეგენდარული ლევ იაშინი იცავდა... სწორედ მიშას გადაცემით შეძლო ბასამ ი ორი ბურთიდან ერთის გატანა. ზემოაღნიშნული შეხვედრა თბილისის „დინამომ" გამანადგურებელი ანგარიშით წააგო – 2-ნ და მაყურებელმაც, რომელიც ტრიბუნებზე ყოველთვის ზომაზე მეტი იყო, სტვენითა და აუწერელი ღრიანცელით გაიცილა, შიგადაგიშიგ კი ბორჯომის „ლიტრანი" ბოთლებიც მიაყოლა... თუმცა, ამ მატჩშიც იყვნენ ფეხბურთელები (ღოღობერიძე, ელიაშვილი), რომელთა მიმართ მაყურებელს აუგი არ დასცდენია. მაშინ ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ მოედანზე იხილა ახალგაზდა მიხეილ მესხი, რომლის სახელი და დიდება სულ მალე დაიპყრობდა მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს... ასეთი პიროვნება, ვისაც სჯეროდა, აღებად იყო ანდრო ფორდანია, რომლის წინასწარმეტყველება გამართლდა. მიხეილ მესხის თბილისის „დინამოდან" წასვლის შემდგომ, მან თქვა: „მესხი, მესხი. ჰო, მესხზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ის მესხია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ადრე წავიდა ფეხბურთიდან, „დივოლ"ი ძალიან ადრე. ასეთი ტალანტები ყოველდღე არ მოდიან."

მიხეილ მესხმა მწვანე მინდორზე გაჭრისთის პირველსავე მატჩებიდან მიიპყრო ყურადღება, როგორც საკუთარი ხელწერის ფეხბურთელმა, რაც მის მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდუალიზმში აისახებოდა. ანდრო ფორდანიას ფხიზელ თვალს ყოველივე ეს არ გამოპარვია და მიშა მესხს იგი კოლექტიური ვარჯიშებსაც ათავისუფლებდა და თან დასძენდა – „დიავოლ! შენ აკადემიკოსი ხარ, რა გინდა ამათთან... ამათ ხომ ფეხბურთის ანბანი უნდა ვასწავლო". და მიშაც ყოველდღიურად ხვებდა თავის ფინტებს ათიოდე მაჭუნის წინააღმდეგ. ბუნებრივ ტალანტს იგი არც შრომას აკლებდა და ღამითაც ვარჯიშობდა „დღისით კი პეპლებს დავსდევდით" – განაცხადა 60-იან წლებში მიცემულ ერთერთ ინტერვიუში. მიხეილ მესხს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ფინტის შესწავლა შეუძლებელია თუ ფეხბურთელს ბურთის ფლობის ვირტუოზული ტექნიკა არ გააჩნიაო. მიშას გარდა, მხოლოდ ლეგენდარულ გარიჩის თუ შეეძლო გაეგრძნებინა მოწინააღმდეგე გუნდის მცველები ფინტების მოულოდნელი კასკადით. არა მარტო საკვანძირო პირველობაზე მის წინააღმდეგ მოთამაშე მცველებს – მედაკინს, ოყროჩკოს, პონომარიოვს, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ე.წ. „ვარსკვლავად" აღიარებულ მცველებსაც უჭირდათ მასთან შერკინება... ბევრი მწვრთნელი თავის აღსაზრდელებს ასეთ დავალებასაც აძლევდა – „სულ ერთია, მას ვერ დაიჭერ, ამიტომ არ მისცე ბურთის მიღების საშუალება". მაგრამ მიშა ბურთის მიღებას მაინც ახერხებდა და მერე ინყებოდა საკონცერტო სტილით მეტოქის კარის მისადგომებთან მიახლოება...

მახსოვრდება 1960 წლის მეორე წრის კალენდარული მატჩი ერევნის რესპუბლიკურ სტადიონზე, სადაც მაისური მეთერმეტე ნომრით მიშას სულ შემოახიეს და მეორე ტაიმში იგი მეთორმეტე ნომრიანი მაისურით გამოვიდა მინდორზე... საოცდაც მცველები ხელთაც კი ვერ იჭერდნენ აბობოქრებულ „ფინტების მეფეს". რამდენი ასეთი მატჩით დაამახსოვრა თავი მიხეილ მესხმა მაყურებელს – არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირის სტადიონებზე, არამედ შორეულ არგენტინასა და ბრაზილიაში, ლონდონსა და პარიზში, პრაღასა და ვარშავაში...

მიხეილ მესხის არაერთი „საკონცერტო" სტილით ჩატარებული მატჩი სამუდამოდ აღიბეჭდა ქართველი მაყურებლის მეხსიერებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია 60-იან წლებში გამართული შეხვედრები – ბრაზილიის „ბიასთან", რომელიც თბილისის დინამოელებმა მოიგეს 4-0, რითაც ბრაზილიური კი ბესკოვმა მოუსწრაფა კარიერა, როდესაც საჯაროდ განაცხადა: „ნზე ეპიზოდურად მოთამაშე მიხეილ მესხს, 3-ზე მოთამაშე გალიზიან ხუსაინოვი მირჩევნია..." მიხეილ მესხის გამორჩენა მსოფლიოს ნებისმიერ სტადიონზე და სპორტულ ზეიმად აღიქმებოდა, არავის ახსოვს, მას უხვშობისათვის პასუხი გაეცა, რადგან ისეთი ტექნიკით იყო შეიარაღებული, რომელთანაც ფარ-ხმალს ყრიდა ყოველგვარი უხეშობა. თვით მიხეილ მესხისთვის გარეშმობის ეტაპლის ნარჩომადგენდა, რომელთანაც ერთად თამაში, თუნდაც ფიფა-ს ნაკრებში, ბედის ირონიით არ შედგა. ასევე მესხთან ერთად არასდროს უთამაშია ტყავის ბურთის მეორე ლეგენდას ედუარდ სტრელცოვს. აღსანიშნავია, რომ საშვე ზემოაღნიშნული ფეხბურთელი მიეღებოდა ოდა და არა ხელჩარიული ბრძოლისათვის, რაც, საბედნიეროდ, არცთუ იშვიათად ხდებოდა საფეხბურთო პრაქტიკაში. მიშა მესხი მისი წინამორბედების – ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯაჯანაძის, ვალიკო ლოღობერიძის, და სხვათა მაგალითზე, არასდეს „ფრჩხილს" მიაჯდნენ კონფლიქტურ სიტუაციაში.

რაზე ყველაზე მეტად გულობ? ერთერთ ინტერვიუში მიხეილ მესხმა განაცხადა: „მოსკოვის „დინამოსთან" მატჩში ქინიკარიძემ დაჯრიხ ლეგენდარულ იაშინთან და წარმოიდგინეთ, ორი თუ სამი მეტრიდან ავაცილე ბურთი კარს. ვფიქრობ, მას მოწინააღმდეგის ჰიპნოზირების უნარიც გააჩნდა... ასე რომ, ლეგენდარული მეკარის იაშინის კარის აღება 15 საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, ვერა და ვერ შევძელი". საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მიხეილ მესხმა 35 მატჩი ითამაშა – გაიტანა 4 გოლი. აღსანიშნავია, რომ იგი ერთადერთი ფეხბურთელია გიორგი სიჭინავასთან ერთად თბილისის „დინამოდან", რომელსაც ოლიმპიურ ნაკრებში არ უთამაშია. მაშინ, როდესაც ოლიმპიელთა რიგებში გამოდიოდნენ: ღოღობერიძე, ყიფიანი, მეტრეველი, ხურცილავა, მანუჩარ მაჩაიძე და სხვები. მიხეილ მესხი მსოფლიოს ორი საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილეა. 1962 წლის ჩილეს საფეხბურთო ჩემპიონატზე მან სამი მატჩი ითამაშა – იუგოსლავიის, კოლუმბიასა და ჩილეს ნაკრები გუნდების წინააღმდეგ. 1966 წლის ლონდონის საფეხბურთო ჩემპიონატზე მიშა მესხი არ ზაუყვანიათ, თუმცა, შესარჩევი ეტაპის ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა, უელსთან ორი მატჩი – თითო მატჩი საბერძნეთთან და დანიასთან და გაიტანა ერთი გოლი. რაც შეეხება თბილისის „დინამოში" მის გამოსვლას, მიხეილ მესხის აქტივშია 284 მატჩში გატანილი 53 გოლი.

მიხეილ მესხი, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, უყურადღებოდ არც თავის მწვრთნელებს ტოვებდა და პირველ რიგში ქართული ფეხბურთის პატრიარქს ანდრო ფორდანიას მოიხსენიებდა... შემდგომ გავრილ კაჩალინს და ბოლოს, წარმოიდგინეთ, ვასილი სოკოლოვსაც კი, რომელიც მხოლოდ 1958 წლის განმავლობაში ავარჯიშებდა თბილისის „დინამოს".

ჟამთა ცვლამ ვერაფერი დააკლო ლეგენდარულ ფეხბურთელს. ეჭვს გარეშეა, იგი 21-ე საუკუნეშიც ასევე პოპულარული დარჩება.

ჯემშერ ტორაძე

იასამნები მიხეილ მესხის ბაღიდან

1991 წლის 22 აპრილს, 54 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიო ფეხბურთის ჩაუქრობელი ვარსკვლავი, საფეხბურთო მინდვრის მშვენება და გულშემატკივართა კერპი, უდიდესი პიროვნება, „მტკვრისპირელი გარინჩა", ლეგენდარული მიხეილ მესხი, რომელსაც დიდი სევდა და გულისტკივილი დაგვიტოვა.

შარშან ათი წელი შესრულდა იმ ტრაგიკული დღიდან, რომელიც შეგი ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

